№ 253 დეკემბერი 3, ხუთშაბათი 1887 დეკემბერი 3, ხუთშაბათი № 253

ტფილისი

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	8 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძ. განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

„ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

ტფილისში ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

ქუთაისში: ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

ხონში: ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

ბათუმში: მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გენერალ-მაიორი თავადი ივანე დავითის ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი უუგულითადესის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **კნეინა ხოფიო შალვას ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანისასა**, რომელიც აღსრულდა პირველს ამა დეკემბერსა.

გარდაცვალებულის გვამს გაასვენებენ ქაშუეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პარასკევს, დეკემბრის ოთხს, დილის 10 საათზე.

პანაშვიდი მიცვალებულის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნება მის სახლში 2 და 3 დეკემბერს, დღისით 12 საათზე და საღამოზით 7 საათზე. (2—2)

დავიწყეთ გასყიდვა

სრულიად უშიშარის

შვედურის ასანთებისა,

რომელიც ზედრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ძრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაეთმობათ.

ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კ°.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში.

(50—3)

ტფილისი, 1 დეკემბერი

გერმანიისა და საფრანგეთის ძალ-ღონე გამოანგარიშებული გვაქვს; მაშასადამე, უნდა შევიტყოთ, რა ძალ-ღონის პატრონები არიან რუსეთი, ავსტრია და იტალია. დავიწყოთ რუსეთიდგან. რუსეთის მხედრობა უუდიდესია მთელს დედამიწის ზურგზედაო. ოფიციალურად მობილიზაციის დროისათვის მზადა ჰყავს ოთხი მილლიონი კაცი ომის დასაწყებლად და შემდეგისათვის ექვს მილლიონამდე შეუდგებაო. რუსეთში 1878 წლიდგან სამხედრო საქმე დიდს წარმატებაში შევიდა. რუსეთს არტილერია ისეთივე ძლიერი ჰყავს, როგორც გერმანიასა და საფრანგეთს. ცხენოსანი ჯარი რუსეთისა უდრის რაოდენობით შეერთებულს კავალერიას გერმანიისას და საფრანგეთისას და უფრო ძლიერია გერმანიისა და ავსტრიის კავალერიაზე; რუსეთის ცხენოსანი ჯარი საუკეთესო ცხენოსან ჯარად არის ცნობილიო. რუსეთს შეუძლიან საომრად გამოიყვანოს ოთხი მილლიონი, მაშინ-როდესაც გერმანია წამოასხამს ორს მილლიონს და ავსტრია ერთს მილლიონს და ორას ორმოც-და-ათ ათასს კაცს, ე. ი. რუსეთის ჯარი იმათ შეერთებულს ჯარს აღემატება შვიდას ორმოც-და-ათ ათას კაცითა. რუსეთს კიდევ ჰყავს ორი მილლიონი მაშველი ჯარი. ერთის სიტყვით, დილკის აზრით, რუსეთი თუ სამჯერ არა, ორ და ნახევარჯელ მაინც ავსტრიაზე უფრო ძლიერია. აქედამ ცხადია, რომ იტალია აუცილებლად საჭიროა ავსტრიისათვის და ამიტომაც უნდა შევიტყოთ, თუ რის შემძლეა ეს სახელმწიფო. დილკი ამბობს, რომ სამხედრო ხარჯი იტალიისა ბევრით არაფრით ჩამოუვარდება ავსტრიისას, ასე რომ იტალიას შეუძლიან ომიანობის დროს წამოასხას ავსტრიაზე ცოტათი ნაკლები ჯარი, ე. ი. ერთს მილლიონზე ცოტათი მომეტებულიო. არტილერია-კი უდრის ავსტრიისასაო. მოხსენებულ ანგარიშიდამ სჩანს, რომ გერმანიის, ავსტრიის და იტალიის ძალ-ღონე თითქმის ოთხი მილლიონი და ნახევარია, რუსეთისა და საფრანგეთისა-კი ექვს მილლიონ კაცზე მეტია. არტილერია ორივე მხარეს თანაბარი ჰყავს, ხოლო ცხენოსანი ჯარი რუსეთ-საფრანგეთისა აღემატება. მარტო ფეხოსანი ჯარი რუსეთისა უდრის შეერთებულს ფეხოსანს ჯარს გერმანიისას და ავსტრიისას. დილკი არ წინასწარ-მეტყველობს, ხოლო ამბობს, რომ რადგანაც საფრანგეთი და გერმანია ძალ-ღონით ერთი მეორის თანაბარია, ამისათვის ბრძოლის ველზედ უნდა ვიანგარიშოთ ერთის მხრით რუსეთი და მეორეს მხრით—ავსტრია და იტალია; დილკი ამბობს, რომ ავსტრია და იტალია ვერ გაუძლებენ რუსეთსაო.

დილკი არა სჯერდება მხოლოდ სამხედრო ძალ-ღონის და სახელმწიფოთა ურთიერთობის გამოკვლევას. იგი საკმაოდ ირკვევს აგრეთვე სახელმწიფოთა შინაურს მდგომარეობას, შინაურს სახელმწიფო და საზოგადოებრივს ძალ-ღონეს, რადგანაც მარტო ჯარი და თოფ-იარაღი არ არის საკმარისი გამარჯვებისათვის.

ა. ნა—ლი

ახალი ამბავი

*** დალალი-ჩარჩები ყველგან ხამის კაცის საზარალოდ მოქმედობენ, ყველგან ატყუებენ და სცარცვავენ, როცა-კი ხელში ჩაიგდებენ, მაგრამ არა გვგონია ისე აშკარა ყაჩაღურად გლეჯდნენ სხვაგან სადმე, როგორც რიყეზე, საცა საქონელი იყიდება. ამაზედ არა ერთხელა გვქონია ლაპარაკი. რიყეზე ოცი-ოც-და-ათი დალალია. შემოვა თუ არა გასასყიდი საქონელი, ისინი ჯერ თვითონ ევაჭრებიან პატრონს და უდებენ პირობას, რომ თუ დანიშნულს ფასზე მეტი აგაღებინოთ, ჩვენი იყოსო. რიყეზე სოფლიდამაც ჩამოდიან მყიდველნი. რაკი დალალები თვალს შეასწრობენ სოფლელ მუშტარს, მოსვენებას არ მისცემენ და აყიდინებენ საქონელს ისეთ ფასად, რომ თითონაც გამორჩნენ. ამოათვლევინებენ გლეხს ფულსა და აძლევენ საქონლის პატრონს. ესეც აღარ გადადის პირობასა და, რაც მეტია, დალალს აძლევს. ხშირად ისეც მოხდება, რომ მეტსაც მიაცემინებენ მყიდველს და აღარც ნაყიდს საქონელს დაანებებენ, სანამ სადალალოსაც არ მიიღებენ. ამ გვარი შემთხვევები ყოველ დღიური მოვლენაა რიყისა. 30 ნოემბერსაც ერთს ხიდისთაველ გლეხს მიასაღეს ერთი ხარი ოც-და-რვა მანეთად. როცა ფული დაუთვალა და თავისის ნასყიდობით გაუდგა გზასა, მოეწია დალალი და წაართვა სადალალო:

— ვა, აქ ჩვენ რიყეზე მუქთადა ვართ! „დასალოცავი“ უნდა მოგვცე სამი მანეთი და ისე წაიყვანო. მორთო გლეხმა მუდარა, მაგრამ ვინ რას გაარიგებდა. როცა იქამდინ მივიდა გლეხი, რომ ჩოხა უნდა დაეგირავებინა და მიეცა, მაშინ გაჩნდა ერთი უცნობი ვიღაც და დაუძახა პოლიციელთ. რის ვაი-ვაგლახით გამოურთო ხარი დალალებისაგან და გაატანა საკუთრება. 1-ს დეკემბერს დილით ადრიან შემოვიდა ხარის საყიდლად ბაზალეთელი გლეხი, მისცვივდნენ დალალები და წაიყვანეს თათარ ბაირამას საქონელთან. შეევაჭრა გლეხი ერთს მოზვერს. დაუფასეს ოც-და-ოთხი მანეთი. გლეხმა აძლია თხუთმეტი. დალალმა ამოაღებინა ხუთ მანეთიანი, გამოართვა და მისცა თათარს, — „აჰა, ოცი მანეთი იყოსო“ და ჩაუდვა ხუთ მანეთიანი თათარსა. გლეხმა იუარა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა და, როდესაც ამოიღო თხუთმეტი მანეთიც და აძლევდა თათარს, მაშინ დალალმა უთხრა — ხუთიც მიუმატე: ოც-და-ხუთი მითქვამსო. გლეხმა უკან მოითხოვა თავისი ფული, მაგრამ ვინ გაუგონებდა. სამის საათის ბრძოლის შემდეგ მოიწვიეს პოლიციელიც, მაგრამ იმან უპასუხა — ეგ ჩვენი საქმე არ არის, სასამართლოში უჩივლეო.

დუშეთის მაზრის გლეხმა ბაქოს გუბერნიაში მცხოვრებელს თათარს და ტფილელ ჩარჩს სად უნდა სდიოს, როგორ უჩივლოს და ან სადა სცალიან ამისთვის!..

*** ჩუღურეთში წყლის ამოსაზიდ პატარა ქუჩაზე ისეთი ნაგვით სავსე წუმპეა, რომ კაცი დაიჩრობა და ამოშრობის მაგიერ, დღე-დღეზე უმატებენ ნაგავს ბაყლები და მედუქნეები, რომელნიც იქვე ქუჩის ახლო ვაჭრობენ. დამშლელი არავინა სჩანს და თითონ ვაჭრებსაც არა ესმით-რა სისუფთავისა.

*** ტფილისში ამ ბოლოს დროს აქა-იქ გამოჩენილა ქუნთრუშა, ეს საშინელი ჭირი, რომელიც მუსრს ავლებს ხოლმე საცოდავს ბავშვებს. როგორც შევიტყეთ, ტფილისის სამკურნალო მთავრობამ გასცა ბრძანება მკურნალებისადმი, დიდი ყურადღება იყოს მიქცეული ამ სენთან საბრძოლველად.

*** გუშინ ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო თქმული, ვითომც მის ყოვლად უსამღვდელოესობამ საქართველოს ეგზარხოსმა შესწირა წმ. ანდრიას ძმობას 50 მანათიო. სარწმუნო კაცები გვაცნობებენ, რომ 50-კი არა, 175 მანათი შესწირა მისმა მეუფებამო.

*** ჩვენ მივიღეთ რუსულს ენაზედ დაბეჭდილი პატარა წიგნი, სახელად „Гигіеническіе эскизы города Тифлиса“. ავტორი ამ საყურადღებო წიგნისა არის მედიცინის დოქტორი, ბ-ნი გ. ა. ქორორიანცი, ხმოსანი ტფილისის სამოქალაქო საბჭოსი. როგორც ეტყობა, ამ წიგნით ბ-ნი ქორორიანცი ჯერ მხოლოდ იწყობს ვრცელ საქმეს ტფილისის გიგიენურ აღწერილობისას. ამ სასურველ საქმის დასაწყისი შესდგება ორის წერილისაგან — ა) გიგიენური მდგომარეობა ტფილისისა და სანიტარული საქმე, ბ) ჰავა ტფილისისა და სტატისტიკური ცნობანი.

*** თავდება ეს წელიწადი და ახლოვდება დრო, როდესაც ჩვენს საზოგადოებას უნდა ეღირსოს ძვირფასი გამოცემა სურათებიან „ვეფხის-ტყაოსნისა“, რომელსაც ეხლა ბევრი აღარა აკლია-რა დასაბეჭდი.

*** დაიბეჭდა და იყიდება ცალკე წიგნად მოთხრობა ბ-ნ სოფრონ მგალობლიშვილისა — „ღამის მეხრე ცეცო“, ფასი ერთი აბაზი.

*** აბანოების ქუჩის დუქნებში მრავალი სამზარეულოებია. თუმცა ამ სამზარეულოებში გამვლელი ჰხედავს გაკრიალებულს ქვაბებს, რომლებშიაც საჭმელებს ამზადებენ, მაგრამ თუ ფეხი შესდგა შიგ სამზარეულოებში, სიბინძურე შეჰზარავს: იქვე შესავალში დაუხვდება ჭუჭყითა და ქონით გაპოხილი სტოლი, რომელზედაც მუდამ ნასუფრალი ჰყრია. სტოლის გვერდზე სდგას წყლის „ბოჩკა“ და ზედ არის გადაფენილი ქვაბების და ქოთნების საწმენდი დასტამლები. მუშტარი რომ მიუვათ, აიღებენ დასტამალს, ჯერ სტოლს გადასწმენდენ იმითი, მერე გადაუსომენ გაურეცხავ მათლაბას და ამით მიუტანენ საჭმელს. თუ რომელსამე სამზარეულოს ერთის ოთახის მეტი კიდევ მოეძებნება, აკლდამის მსგავსი ოთახი, ამას მომეტებულადა სთვლიან და ღარიბ ხალხს ქირით აძლევენ. ამ ოთახებიდამ გამოდის ადამიანის დამბნედი მყრალი სუნი.

*** „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საცავს შემოსწირეს შემდეგი წიგნები:

სალომე მაღალაშვილისამ: 1) გრამატიკა ანტონ კათალიკოზისა, 2) ისტორია დარღვევისათვის ქალაქისა იერუსალიმისა კეისარის ტიტესაგან, ძისა ვესპასიანისა.

მარიამ კერესელიძისამ: 1) ოქროს ანაქესი, სამოელ 1, რაბინ იუდიანისა, თარგმნილი ვარლაამისა და დიმიტრი ბაგრატოვანისაგან 1786 წ.

2) ეპისტოლენი (14) საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა.

3) ალფავიტის განმარტება, იოანა ბერისა, ხელაშვილისა.

4) „ომანიანი“.

ნიკო ხიზანაშვილმა: „სამკურნალო კარაბადინი“, რაუთ-ხანის ნაქონისაგან გადმოწერილი.

მკ. გაბაშვილისამ: „ლექსები“ გ. დვანაძისა.

საზოგადოება მადლობას უცხადებს შემომწირველთა.

არ იქნებოდა ურიგო, რომ სანიტარულ კომისიის წევრთ ათასში ერთხელ მაინც შეეხედნათ ამ სამზარეულოებში.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ში ვკითხულობთ, რომ ორშაბათს, 30 ნოემბერს, ქალაქის საბჭომ გარდასწყვიტა მტკვარსა და მილის წყალის თაობაზე შემდეგი: დაიკეტოს მტკვარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩასავალები, რომ თულუხებმა წყალი აღარ ამოიტანონ მტკვრიდამ; ვისაც კოკებითა და ლიტრებით ამოაქვთ წყალი მტკვრიდამ, იმათ ნება ჰქონდეთ მუქთად წაიღონ მილის წყალი; ფასი მილის წყალზე უნდა ერთი „ვედრო“ იყოს ამას იქით არა $^{1}/_{4}$ კაპეიკი, არამედ $^{1}/_{5}$ კაპეიკისა, როგორც გამგეობამ მისცა წინადადება საბჭოსა.

⁂ ამას წინად ჩვენ გამოვაცხადეთ, რომ 19 დეკემბერს კონცერტი იქნება გამართული ტფილისის „საბრანიაში“ სასარგებლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. როგორც კონცერტის პროგრამიდამ სჩანს, ქ-ნი ზარუდნაია იმღერებს ქართულ ხმებს, ნოტებზე გადაღებულს ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვის მიერ. კონცერტის გამმართველთ განზრახვა აქვთ აგრეთვე ბ-ნ ალნიაშვილის ხოროც მიიწვიონ სამღერლადა.

სახელდახელო

ჩხირი კედელს თუ კედელი ჩხირსა!—ჟურნალისტიკუმი ვილას?

ჩვენი მკითხველი, თუ უკაცრავად არ ვიქნები, ზანტი რამ ქმნილება გახლავთ ბუნებით და ბევრი მეცადინეობა უნდა, რომ ეს სიზანტე სიფხიზლედა და სიმხნევედ გადაიქცეს, თუმცა ისიც-კი სავაგლახებელია, რომ სიზანტეს მეცადინეობა არ უდგება და მეცადინეობას როგორ-ღა უნდა მიუდგეს სიზანტე. ამ ამოცანის სასურველი გამოცნობა მივანდოთ სხვებსა, ვისაც თავი დიდი აქვთ და სხვათა მკვდრების დატირება არ გაუძნელდებათ, ჩვენ-კი ისევ მივუბრუნდეთ ჩვენის მკითხველების სიზანტეს, რომელიცა თხოულობს, რომ გაზეთში თუ წიგნში საგანი ისე დალაგებით, ისე დინჯად, ისე დალექით იყოს დაწერილი, რომ კაცს შეეძლოს ტვინის გაურჯელად ყველაფერი აკრიბოს და თანაც ამ აკრების დროს ისეთს მხიარულს გუნებაზედ მოვიდეს, რომ ტუჩებს ღიმილი აღარა შორდებოდეს და თვალებს ბედნიერი გამომეტყველება. მძიმე ტვირთია მწერლისათვის ამ გვარ წადილების დაურვება, მაგრამ რასა იქთ. თუ გინდათ, რომ თქვენმა ნაწერმა მიაღწიოს მკითხველის ყურადღებამდე, უთუოდ ასე უნდა მოიქცეთ, თორემ დარწმუნებული უნდა ბძანდებოდეთ, რომ თქვენის ნაწერების მკითხველი, გინდა ქვეყნის სიბრძნეც ჩასდოთ შიგა, იქმნებით მხოლოდ თქვენა, ასოთ-ამწყობნი და კიდევ ერთიც სხვა, ვინც მოვალეა წესზე დააყენოს თქვენის ტვინისა და გულის მიდრეკილებანი. ასე მცირე წრისათვის, დამეთანხმებით, არა ღირს წერა და უმეტესს ბეჭდვა. ამიტომაც, ყველანი ცდილობენ, რაც გინდ მძიმე საგანს შეეჭიდნენ, უთუოდ სამხიარულო რამ ადგილები გამოუნახონ და ამით სიმხიარულე ჩააწვეთონ მკითხველს გულში. ერთის სიტყვით, ტირილი რომ გინდოდეთ, უთუოდ სიცილიდამ უნდა დაიწყოთ საქმე და მერე თუნდა შიგა-და-შიგ ცრემლიც ჩამოაგდოთ, არა უშავს-რა, ყურს დაგიგდებენ...

ესეთი წესი შემოიღეს ჩვენმა ტფილელმა მწერლებმა, რადგან მეტი გზა არსად იყო. გეხსომებათ, „Новое Обозрѣніе“ იქითა კვირას ლაპარაკობდა იმის თაობაზედ, რომ ჩვენებურ სასამართლოებში არიან მთარგმნელნი, რომელთაც არ იციან ან ადგილობრივი ენა, რომ რუსულიდგან გადასცენ ხალხს სასამართლოს აზრი, ანუ ვერ შეუგნიათ რუსული ენა იმდენად, რომ ხალხის დარდი შეატყობინონ სასამართლოსა. ამითი, რასაკვირველია, დაბრკოლება ეძლევა სიმართლის გატარებას ყოველ საქმეში, რომელიც-კი მოსამართლის ხელში არის, და სასურველია, რომ ხალხსა და მოსამართლეთ ერთმანერთისა ესმოდეთო.

აქ რა უნდა იყოს სასაცილო, ან რატომ პირდაპირ ასე არ დაიწყო ლაპარაკი „Новое Обозрѣніе“-მ?—იმიტომ, ბატონებო, რომ იცნობდა თავის მკითხველებს, რომელთაც ასეთის ამბით სიცილს ვერ მოჰგვრიდით, და ან რად უნდა ჩვენებურს მკითხველს წაკითხვა, თუ არ სიცილის გულისათვის! ცალ ფულადაც არ უღირს. ამიტომაც „Новое Обозрѣніе“-მ მოიყვანა მართლადა სასაცილო თარგმანი რუსულის უწყებისა თათრულს ენაზედ. ამ თარგმანიდამვე დაიწყო თავისი ბაასი. მკითხველებს მუცელი ძლივს-ღა ეჭირათ სიცილისაგან. ასეთს მადაზე მოსულებმა, რასაკვირველია, ბოლომდის წაიკითხეს ნაწერი გაზეთისა. „Новое Обозрѣніе“-საც უმთავრესად ეს აზრი ჰქონდა.

გარდა ამ გაზეთისა, ჩვენში არის კიდევ ერთი სხვა, რომელიც ისე ყბად აიგდეს პეტერბურგისა და მოსკოვის გაზეთებმა. ეუბნებიან—მეტად უგემური და უნდილი რამა ხარო. მიუხედავად ამ გვარის ლექსებისა, გაზეთი გულ-მოდგინებით დაეჭიდა იმავ სასაცილო თარგმანს, რომელიც „Новое Обозрѣніе“-ში სიამოვნებით წაიკითხეს მკითხველებმა, დაეჭიდა და თავისებურადაც შეჰხედა საქმეს. პირველი გაზეთი თუ გვეუბნებოდა შესახებ აღძრულის საგნისა, რომ მთქმელს გამგონე უნდაო და ჩხირი კედელს უნდა ერჭოსო,—მეორე გაზეთი საამურის სითამამით გვეუბნებოდა, რომ მართლაც მთქმელს გამგონე უნდა, მაგრამ იმაზედ-კი ვერ დაგეთანხმებით, ვითომც ჩხირი კედელს ერჭოსო. წავიდა დრო, როდესაც მაგ დაბალ კიბეზე იდგა კაცის ჭკუა-გონებაო. ეხლა სრულებით სხვა დრო დაგვიდგა: ეხლა კაცმა იმდენი შნო და უნარი უნდა გამოიჩინოს, რომ კედელი ჩხირს შეურჭოსო.

მკითხველებმა ამაზედაც ბევრი იცინეს და იმხიარულეს. ეხლა თამაშასაც ელიან—აბა, აცა ჩვენი გაზეთი როგორ მოახერხებს, რომ კედელი ჩხირს შეურჭოსო...

**

მაგრამ ჩვენში რა არ მოხერხდება! ჩხირს კედელი შეერჭმევა, ვირი ხეზედ გავა, თევზები ხმელეთზე იცურავენ, მწყერი ხეზე შემოჯდება და კიდევ ბევრი სხვა უცნაური ამბავი შესაძლებელი გახდება; ხოლო თავად ბებუთოვის ჟურნალისტიკუმი-კი ფეხს ვერ მოიკიდებს ჩვენს ნიადაგზედ, ფესვებს ვერ გაიდგამს ჩვენებურ საზოგადოებაში, თუმცა ერთის შეხედვით ამაზედ კარგი და ჭკუაში მოსასვლელი სხვა არც-კი რა მოუვა კაცს თავშია. იქნება მკითხველებმა არ იცოდნენ, რა არის ეს ჟურნალისტიკუმი?! შეიძლება, ჯერ არც-კი გაეგონოთ, რადგან ამისთანა ამბები მძიმედ მიაღწევენ ხოლმე ჩვენის საზოგადოების დინჯ ყურადღებამდე.

საზღვარ-გარედ და თვით რუსეთშიაც მრავალ გვარი ჟურნალ-გაზეთები იბეჭდება. ამათში ბევრი მეტად საინტერესოა—ზოგი იმითი, რომ ცხოვრებისა და მეცნიერების ბრძნულ გამოკვლევას წარმოგიდგენენ, ზოგიც იმითი, რომ ჰმახვილობს სხვა-და-სხვა ამბებისა და გარემოების თაობაზე; ზოგში სიყვარულის ვითარებაა სასიამოვნოდ გამოყვანილი, ზოგში რა და ზოგში რა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ ჟურნალ-გაზეთებს ვერას გზით ვერ მოიპოვებთ გამუდმებივ მუქთად, უთუოდ უნდა ფული შეიტანოთ. თითო მათგანი წელიწადში ღირს 5 მანათიდამ ვიდრე 20 მანათამდე. გადასაყრელიც რომა ჰქონდეთ ფული, ყველას არ დაიკვეთავენ. ეცდებიან, როგორმე იეფად გამოვიდნენ. ან წიგნთ-საცავში ჩაეწერებიან, ან საკითხავ სადგურებში ივლიან, ან მეგობრებთან წავლენ იოლას.

თავად ბებუთოვს დაუბარებია ასამდე ცალი დრო-გამოშვებითი ჟურნალ-გაზეთები და აცხადებს, რომ ვისაც სურვილი გაქვთ კითხვისა, შემატყობინეთ და თთვეში ათამდე ჟურნალს მოგართმევთ სახლში თქვენდა გაურჯელადო; დასხედით და იკითხეთო, ოღონდ-კი წელიწადში 15 მანათი ფული შემოიტანეთო. ეს არის თ. ბებუთოვის ჟურნალისტიკუმი, არც მეტი და არც ნაკლები. დაწინაურებულ ქვეყნებში, სადაც წერა-კითხვას უჭირავს შესაფერი მაღალი ადგილი საზოგადოების თვალში, იქ, რასაკვირველია, ჟურნალისტიკუმს მიაწყდებოდა მკითხველი საზოგადოება და ეს ბედნიერი დაწესებულება სასარგებლო იქნებოდა არა მარტო დამწესებლისათვის, არამედ უფრო მეტად თვით მკითხველებისათვის. ორივე მხარე გულდაამებული იქნებოდა ერთი მეორისაგან...

სულ სხვა ყოფაშია კითხვისა და მკითხველების საქმე ჩვენში. ჩვენის საზოგადოებისათვის ჟურნალი ანუ გაზეთი არა თუ მოთხოვნილებას არ შეადგენს, არამედ დროს გასატარებლადაც იშვიათად მოსჭიდებენ ხელსა. ამისთანა საზოგადოებას მუქთადაც რომ უზიდოთ სახლში ჟურნალ-გაზეთები, მხოლოდ იმ პირობით-კია, რომ სამისა და ხუთის დღის შემდეგ წაკითხულ წერილების ანგარიში ჩაგაბაროთ,—დარწმუნებული უნდა ბძანდებოდეთ, რომ ათი-თხუთმეტის დღის შემდეგ თქვენი მკითხველი მაგრად ჩააკეტინებს კარებსა და თქვენმა ჟურნალების მტარებელმა გინდა სამ-სამი საათი აბრახუნოს იმისი კარები, ხმის გამცემი არ გამოუჩნდება და, თუ ვისმეს თვალი შეასწრო, ეტყვიან, რომ ვისთანაც მოსულხართ, ის მძიმე ავადმყოფია, სულთამხუთავი თავს ადგა, საცაა სულს დაჰლევს,—უკაცრაოდ, რომ თქვენის ჟურნალებისათვის აღარა სცალიან. ამას იქით ნუღარ გაირჯებითო.

ამისთანა პასუხი მოგივათ ისეთის კაცისაგან, რომელიც მგონი იმ დროს დარდიმანდებთან ბოლთასა სცემდა და ქუდს ჭერში ისროდა, ჰო-და, როცა თქვენმა კაცმა ჟურნალი მიიტანა კარებთანა. თუკი წიგნების მკითხველებს მუქთადაც ვერ უშოვნით ჟურნალისტიკუმსა, აბა ფასზედ ვინ გამოჩნდება ისეთი, რომ თ. ბებუთოვის აბონენტი გახდეს. ჩვენს საზოგადოებას არა თუ ვერ წაახალისებთ და ვერ მიაკარებთ ჟურნალისტიკუმს იმითი, რომ სახლში უზიდოთ შეკვეთილი ჟურნალები, არამედ მაშინაც ვერ მოიგებთ იმის გულს, უკეთუ მშვენიერს წამკითხველებს დაიქირავებთ და კარის-კარ ატარებთ, რომ უკითხონ თქვენს ხელის-მომწერლებსა.

არ ვიცი, იქნება ერთი ათი კაცი-კი ჩაეწეროს ბებუთოვის ჟურნალისტიკუმში, თორემ სხვა ზედაც არავინ მიეკარება, როგორც მე ვიცნობ ჩვენს საზოგადოებასა და იმის კითხვის ხალისსა. აქ ვერც „კნიაზობა“ უშველის საქმის დამწყებს, ვერც „ფიურსტობა“ და ვერც თვით პრინცობა, მანამ ძირეულად არ გამოიცვლება ფერი ჩვენის მკითხველისა, მანამ იმის სიზანტის ცხრა მეათედი მაინც არ დაიკარგება, მანამ ერთი ათად მაინც არ გაუჯდება ძვალსა და რბილში ის ბედნიერი აზრი, რომ ის, მკითხველი, არის ნაწილი ქვეყნიერებისა და ამიტომ პირდაპირი სარჩოა იმისთვის, ავარჯიშოს გონება და შეიგნოს ქვეყნის ვითარება, რომ აქედამ ქვეყნისა გაიგოს ან თავი, ან ბოლო, ან საფუძველი და ან აზრი. მანამ ასეთის ფართო თვალით არ შეჰხედავს ჩვენი მკითხველი, სანამ ვერც გაიგებს, არის რამ უტკბესი ღვინისა, დარდიმანდობისა, ჭორისა და მატრაბაზობისა, თუ სხვა არა მოიპოვება-რა ამ დედამიწის ზურგზედ.

მოდი და ამისთანა საზოგადოება დაახარბე იმითი, რომ თთვეში ათობით მოგერთმევა სახლში სხვა-და-სხვა ახალთ-ახალი ჟურნალიო! თქვენც არ მომიკვდეთ! ტყუილად გარჯილა თავადი ბებუთოვი და ამ საყოველთაეო ქესატობაში რამდენიმე ასი მანეთი გადაუყრია წყალში. აკი წელანაცა ვთქვით, რომ მწყერი უფრო ჩქარა შეჯდება ხეზე, თევზი უფრო მალე მიეჩვევა ხმელეთზე ცურვას, ვიდრე ჩვენი საზოგადოება—კითხვასა.

თეოდოსიძე

კახეთის ამბები

ჩვენში ყოველ წვრილ-წვრილ მხარეს აქვს თავის დედა ქალაქი, რომელიც იწოდება სამაზრო ქალაქად. ამ გვარ ქალაქს მეტად დიდი მოვალეობა აწევს თვისის მაზრისა. იმან უნდა გაუწიოს უღელი მთელს მაზრას; იგი უნდა იყოს სარკე ახლო-მახლო სოფლებისა; იგი უნდა იყოს მაჩვენებელი ცხოვრების გზის ავ-კარგიანობისა მთელის მაზრისათვის. ასრულებენ თუ არა სამაზრო ქალაქები თავის დანიშნულებას? რასაკვირველია, ძნელია ყველა სამაზრო ქალაქებზე გავაბა ეხლა ბაასი. მე დღეს მსურს მკითხველის ყურადღება მივაქციო კახეთის სამაზრო ქალაქის ცხოვრებაზე.

სოფლის ხალხი საზოგადოდ მეტად მიმბაძავია; თვალ-საჩინო მაგალითი უფრო მოქმედობს ჩვენს ხალხზე, ვიდრე ყოვლად გამჭრიახი და წყლიანი სიტყვა. აი, სწორედ ეს გარემოება ყოველთვის უნდა იქონიოს სახეში სამაზრო ქალაქმა. სამაზრო ქალაქს ჩვენში მეტის გაფაციცებით აღევნებს თვალს სოფლელი; მას შეჰყურებს და მისგან მოელის ავსაცა და კარგსაც. შეიძლება ჩვენმა სოფლებმა იცოდნენ დედა ქალაქის ტფილისის არსებობა, მაგრამ იმის ზედმოქმედებაზე ძლიერ შორს არის. არ იწუხებს სოფელი თავს და არც ჰფიქრობს შორს ხეტიალსა. იმის აზრით, მახლობელი ქალაქი არის და უნდა იყოს ყოველისავე იმის სვე-ბედის ასე თუ ისე დამტრიალებელი. დიაღ, ასე შეჰყურებს გლეხი სამაზრო ქალაქს და არცა სცდება, მხოლოდ... მხოლოდ ის, რომ ასრულებს თუ არა ჩვენი სამაზრო ქალაქი თელავი თავის დანიშნულებას? და თუ არ ასრულებს, რა მიზეზია? აი საკითხავები, რომლის განმარტება უალაგოდ არ მიგვაჩნია! რა ვსთქვი? უალაგოდ მისაჩნევი-კი არა, ეს მეტად საჭიროა, თუ-კი გვსურს, რომ თვით ქალაქიც და იმისი მაზრაც წესიერ ცხოვრების გზას დაადგეს, ჩამოვარდეს თვით წესიერება ყველაფრისა, თორემ ეხლანდელი ჩვენი ყოფა, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი შვილია..

თელავში, თუ სხვა ამ გვარ ქალაქში, შესდიხართ თუ არა, პირველად თვალში გეცემათ ქუჩების განწყობა და სისუფთავის ვითარება. ამ მხრივ, სწორედ რომ ვთქვათ, ვერ დაიკვეხებს თელავი. მართალია, არა ერთი და ორი ფართო ქუჩა აქვს თელავსა, მაგრამ ერთისა და ორის სიკარგე ვერ დაჰფარავს მრავალ უვარგისობას. სისუფთავე?... სისუფთავეზე სჯობს დაჩუმება! მაგრამ რადა? თელავის განაპირ, ეგრედ წოდებულ ნადიკვარზე, არის აგურხანები, სადაც დიდის მხნეობით იზილება ამ დღე ტალახი აგურ-კრამიტისათვის! აი სწორედ ამ მზელავთ ედარება ყველა, ვინც-კი დადის თელავის ქუჩებზე. ტალახს ჯანი და სული წაუვიდეს, მზე გააშრობს, მაგრამ სიბინძურე და სიმყრალე-კი შენი მოწონებული ტრიალებს თელავის ქუჩებში. ამ გვარი სისუფთავე-სიფაქიზის მქონე ქალაქი, სწორედ მოგახსენოთ, ვერაფერი სამაგალითოა თავის მაზრისათვის. ეს კიდევ არაფერი. თელავსა აქვს ყანთარი, სადაც მთელის მაზრის ნაწარმოები, ანუ სხვა მხრიდამ შემოსული სანოვაგე იყიდება! გაყიდვაზე წესია დადგენილი, რომ შუა-დღემდის სანოვაგე მკვიდრთ უნდა იყიდონ და შუადღის შემდეგ-კი ყიდვის ნება ეძლევათ თვით ვაჭრებსაც. ეს ფრიად საკეთილო დაწესებულება მხოლოდ სიტყვა დარჩება თელაველთათვის. ვინ მკვიდრი, ვინ ვაჭარი, რის ჩლავი და რის ფლავი! ვინც მოასწრობს, იმისია. იტყვი რასმე? ისე ამოგსვრის ტალახში ჩარჩი ბიჭი, რომ ალაზანიც ვეღარ გაგრეცხს.

ამ გვარი უწესოება ყოველ დღე სოფლელთ თვალ-წინა აქვთ და, რასაკვირველია, ამის დამნახველნი კარგს არას წამოიღებენ თავის სოფელში. ერთის სიტყვით, თელავის ყანთარზე არც გაყიდვასა და არც ყიდვას არა აქვს მადლი.

ესეც კიდევ, ვთქვათ, არაფერი. ამ გვარ სიმშვენიერეს მოვცილდეთ და სხვა უფრო საგულის-ხმიერო რამ მოვძებნოთ იმის ცხოვრებაში. მაწანწარის უბნიდამ (თელავის დასავლეთის მხარეა) რომ გაჰყვეთ თვით აღმოსავლეთის განაპირ უბნამდე და აგრეთვე აღმა-დაღმა აიარ-ჩაიაროთ, სასიამოვნოს ვერასა ჰნახავთ. ეს ისე ავლა-ჩავლით. გულ-მოდგინე ჩხრეკა-სინჯვა რომ არ დაიზაროთ და მთლად თელავის ცხოვრების დავთრები გადაჰფურცლოთ, მაინც არაფერს არც საგულის-ხმიეროს და არც საკეთილდღეოს ჰნახავთ რასმე მის ცხოვრებაში. მართალია, არის ერთი-ორი საზოგადოდ საკეთილო და საბედნიერო საქმე-დაწესებულებანი, მაგრამ სჯობს ამეებზე შემდეგ...

როგორც მკითხველი ჰხედავს, თე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავი იმ ბედნიერთა ქალაქთა რიცხვში ვერ მოექცევა, რომელნიც მართლა და მეთაურობენ თავიანთ მაზრაში ყოველ მხრივ. აი აქ იბადება კიდეც საკითხავი, თუ რა მიზეზია? ქალაქს განა არა ჰყავს ხალხი, რომ შეეძლოთ მასზე ზრუნვა? განა ქალაქს არა აქვს შეძლება, რომ იყოლიოს უფრო ერთგული, უფრო კეთილ-საიმედო და რიგიანი მოშველელი? დღეს არა ერთმა დაორმა თელავში სამოქალაქო მამული მიითვისა საზოგადო მიწებზე გაჰმა დუქან-სახლები და თვითონ სარგებლობს. ქალაქი? რას მიბძანებთ, ვა'ს რა საქმე აქვს რაღაც საქალაქო მამულებთან! დეპუტატებს? განა შესაძლებელია ორმა დეპუტატმა (ერთი მათგანი ხარჯის ამკრეფიც არის) ყოველივე საქმე ქალაქისა შეასრულოს? არ შეუძლიან და ეს შეუძლებლობა თვით თელავმა გამოცდილებით იცის. თუნდა შეეძლოთ კიდეც, დეპუტატები ქალაქზედ-კი არა, იმის ზრუნვაში არიან, რომ არავის ვაწყენინოთ, ეგება ორი-სამი ამომრჩევი ჩვენ დაგვრჩეს და რაიმე ჯილდო მივიღოთო. ამ გვარი მეთაურები ქალაქს ვერაფერს მალამოს დაადებენ.

ერთის სიტყვით, თელავისათვის აუცილებლად საჭიროა რიგიანი მეთაურები და მეთვალყურენი და ეს გვეღირსება მხოლოდ მაშინ, როცა დააწესებენ აქ თვით-მმართველობას. თვით-მმართველობა თელავისათვის დღემდის თუ მოუხერხებელი იყო და არც შეძლება მოსდევდა, დღეს ეს მიზეზები სრულიად სახსენებელიც არ არის. თელავს დღეს შეუძლიან იქონიოს იმედი, რომ ყოველ წლივ, წინ თუ არა, უკან არ დაიხევს ვაჭრობით. ეს საუბარი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მომავალ თთვის გასულს ახალის დეპუტატების არჩევანებია დანიშნული. სასურველია, ვისაც-კი შეუძლიან, ურჩიოს თელავს თვით-მმართველობა ითხოვონ, დაანებონ თავი დეპუტატებს, რომელნიც მარტო თავისის თავის და არა ქალაქის სიკეთეზე ჰფიქრობენ...

ი. კახელი

წერილი ახალციხიდამ

დიდად შემაძრწუნებელი საცოდაობა დატრიალდა წუხელი, 29-ს ნოემბერს. ესრედ წოდებულს „მილიონის“ ქუჩაზე ცეცხლი წაეკიდა ფრანგების საეკკლესიო სახლს, რომლის მსხვერპლადაც შეიქმნა ოთხმოცის წლის ფრანგი დედაკაცი. შუაღამის ორი საათი იყო, როცა გაისმა ზარის რეკვა და საშინელი ყვირილი და აყალმაყალი ახალციხის ახალს ნაწილში: „არიქა, პაჟარი, პაჟარიო!“ ფიცხლავ გაჩნდა იმ ადგილას პოლიციის მოხელე ი. სავანელი, რომელიც იმ ხანად იქვე ახლო-მახლო ტრიალებდა, იმ წამსვე მოახდინა საჭირო განკარგულება და დიდის მოსალოდნელ უბედურებისაგან დაიხსნა რამდენიმე მეზობლად მცხოვრებნი.

ხალხის ღრიანცელმა მიაღწია სამოქალაქო გამგეობამდისაც, რომელმაც მქრობლებს მიაშველა ორიოდე ჩანგალი, ხუთიოდე ცული და ერთი დანჯღრეული მაჰმადხანის დროის შხაპუნა, «ნასოსი», მაგრამ რა „ნასოსი“?.. ღმერთსა ვფიცავ, რომ ეს არა ყოფილიყო, რამდენისამე წუთით უფრო ადრე ჩააქრობდნენ ცეცხლსა. წარმოიდგინეთ, ხუთი-ექვსი კაცი იმის გასწორ-გამოსწორებას მოუნდა და იმან-კი არ ისინიდისა და არ შეისვა წყალი.

როგორც ამბობენ, ცეცხლი გაჩენილა თალარიდამ*). სახლის დაქცევის შემდეგ საბრალო მოხუცის ნახევარი სხეული-ღა იპოვნეს. მთლად დასწოდა ორივე ფეხები მუცლამდე, მარცხენა მკლავი და მარჯვენა-კი ნიდაყვამდე; პირი-სახე და თმა სრულად აღარ უჩანდა. დღეს მიაბარეს მიწას ნახევარი-ღა მოხუცი მარიამ ჯახიანი, რომელსაც სამადლოდ ინახავდა ფრანგების ეკკლესია თავის ხარჯზედ. შესანიშნავია ფრანგების და სომხების გულ-მტკივნეულობა და სიბრალული ღარიბ-ღატაკ და ქვრივ-ოხერთადმი. თითქმის ყველა ეკკლესიასა აქვს საკუთარი სახლები, რომელიც დანიშნულია ქვეყნისაგან მოძულებულთათვის. ყველა გაჭირებულს შეუძლიან უსასყიდლოდ შეაფაროს თავი ამ სახლებში და თუ იმისი გაჭირება ამით არ დაკმაყოფილდა, მაშინ სხვა ფრივაც ეხმარება ეკკლესია. ეს ჩვეულება სწორედ სანატრელია ყველა ეკკლესიებისათვისაც. ღმერთმა ჰქმნას, სხვათაც მიჰბაძონ და ეკკლესიებთან გაიჩინონ ამ გვარი სახლები და ამით დაიხსნან მრავალნი გაჭირებულნი...

განო ათაბაგი

---

*) ჩვენსკენ მდაბიო ხალხში ძალიან ხმარებაშია თალარი. აი თალარი რა არის: დაჰყრიან ნახშირს მაყალზე და კარგად გააღვივებენ ცეცხლსა. შემდეგ ამ მაყალს შედგმენ სკამ ქვეშ, რომელსაც ქვეშ ერთს მტკაველზე ამოთხრილი აქვს მიწა. დასასრულ ამ სკამს გადაახურავენ საბანს ან ხალიჩას, ისე რომ კალთები მიწაზედ დასწვდეს და სითბო შიგ დაგუბდეს. შემდეგ შემოუსხდებიან გარს, შეჰყოფენ ფეხებს სკამ ქვეშ და გარდახურულ საბნის ან ხალიჩის კალთას წამოიხურავენ მუხლებზე. ეს ჩვეულება უფრო სომხობაშია გავრცელებული.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ქედა (ბათუმის მაზრა), 22 ნოემბერს. 19 ამ თთვეს აქ მოხდა ერთი სამწუხარო ამბავი. ამ დღეს დილის 7 საათზე თავი მოიკლა უმცროსმა ექიმმა საქვეგითო ჯვარისამ, ნადვორნი სოვეტნიკმა ნიკოლაი ანდრეის ძემ სავლიევმა, რომელიც ამ ცოტა ხანში მოვიდა აქ ჯვარის-კაცთა დასახედავად. ჩვენს სოფელში მოვიდა 16 ნოემბერს, დადგა აფიცერთა სადგომის ცალკე ოთახში. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ განსვენებულს ხანდისხან უვლიდა ზნე სულის ავადმყოფობა, რომელმაც მოუარა დამეს 18—19 რიცხვსა. მისმა ამხანაგებმა, რომელნიც იწვნენ ცალკე ოთახში, შეიტყვეს ეს უბედურება და მაუჩინეს კაცი— ეყურებინა არაფერი მოახდინოსო. დილით უპირებდნენ სამკურნალოში გასტუმრებას. თურმე ავადმყოფი ღამე ამდგარა, სანთელი აუნთია, ჩაუცვამს ჩექმება და სერთუკი და დაუწყია სიარული თავის ოთახში. მერე მაჩვენიდს კაცს, რომელიც გარედგან უყურებდა ოთახში, დაუნახავს, რომ ტანთ ისევ გაუხდია, გაუქრია სანთელი და დაწოლილა. შემდეგ ისევ ამდგარა ეს ექიმი და ორჯელ გამოსულა გარედ თავის ოთახიდგან. დილას სავლიევი ადრე გამოვიდა თავის ოთახიდან, შევიდა სამზარეულოში და უბრძანა, პირი დამაბანინეთო. პირის დაბანის შემდეგ შევიდა ამხანაგების ოთახში, სადაც ამათ ჯერ კიდევ ეძინათ. გარ-გამოიარა და უთხრა ერთს მათგანს, რომელმაც სიარულზე გამოიღვიძა: ჩემს ოთახში ძალიან სცივა, მაგრამ არც თქვენს ოთახში არის სითბოვო.

ამხანაგმა უთხრა თავის მოსამსახურეს—დაანთე ცეცხლი სავლიევის ოთახშიო. ამ დროს სავლიევი დაჯდა ამხანაგის ლოგინზე, მერე ისევ წამოდგა და უცებ მივიდა სტოლთან, რომელზედაც იდო გიტარა. გამოჰკრა მძლავრად მაფებზე ხელი და გაწყვიტა ორი სიმი. შემდეგ სტოლიდამ ხელი დაავლო დანას და ისე აიღო, რომ ამხანაგმა თვალი ვერ შეასწრო; მერე გავიდა იმათ ოთახიდამ გარედ. რამოდენიმე ხანმა გაიარა; სავლიევის ამხანაგები ადგნენ, ტანთ ჩაიცვეს. ამ დროს უცებ სავლიევის ოთახიდამ მოესმათ ხმა, თითქო რაღაცა მძიმე დაეცა იატაკზეო. ეგონათ, სავლიევს ზნემ მოუარაო და წავიდნენ იმის ოთახში საშველებლად. გააღეს კარები და ნახეს საშინელი სანახავი: სავლიევი ყელ-გამოჭრილი ეგდო სისხლში და ორივე ხელი ჩაეჭირა ყელში. ამხანაგების შესვლაზე ერთი-ღა წამოჯდა საწყალი, მაგრამ ისევ დეეშვა ძირს და დალია სული. ამ სახით სავლიევმა გამოიჭრა ყელი ამხანაგის დანით, რომელიც ჩუმად გამოიტანა ოთახიდგან.

იმის წერილებიდამ აღმოჩნდა, რომ სავლიევი ყოფილა ღარიბ მშობლების შვილი, საწყალს დედ-მამა ცალკე და და-ძმანი ცალკე სთხოვდნენ შემწეობასა. 16 ამ თთვესაც მოუვლია მისთვის ავადმყოფობას გზაზე, როდესაც ისა და მისი ამხანაგი მომავალიყვნენ სოფ. ხულოდამ ქედაში. აქაც გამოუჩენია სავლიევს სურვილი ხმლით ყელის გამოჭრისა, მაგრამ ამხანაგმა თურმე მოასწრო წართმევა ხმლისა, რის შემდეგ ავადმყოფობამ გადაუარა.

სავლიევის გვამი გაგზავნილ იქმნა ბათუმის საოლქო სამკურნალოში გასასინჯავად.

აბდულ მიქელაძე

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენს გაზეთში ამ მცირე, თუმცა დაგვიანებულს, მაგრამ მაინც საჭირო შენიშვნას და ამით ცნობილ ჰყოთ თქვენი მკითხველები, რომ ის „ერთი დამსწრეთაგანი“, რომელმაც დაბეჭდა „ივერიის“ მე-186 №-ში ცნობები შესახებ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლისა, არა ყოფილა ნამდვილი დამსწრე, და ან რაც არ მომხდარა, რას უნდა დასწრებოდა?! მოკლედ რომ ვთქვათ, აი საქმე როგორ იყო: როდესაც ფოთელებმა და სენაკელებმა თავისკენ დაუწყეს ზიდვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს, მაშინ მარტვილელებმა დაინახეს რა, რომ იმათი ორმოც-და-ათის წლის ნაამაგარი და ფეხზედ დაყენებული სასწავლებელი მორდებოდა მათ და მასთან კიდევ უიმისოდაც ღარიბი სამღვდელოება ამით უფრო დიდს სიღარიბეში ვარდებოდა, გაგზავნეს უწმინდესს სინოდში თხოვნა, რომელშიაც, სხვათა შორის, აცხადებდნენ, რომ ათი ათასს მანეთს ნაღდს ფულს კიდევ შესწირავენ სასწავლებელს, უკეთუ ეს სასწავლებელი სამუდამოდ დამკვიდრებულ იქმნება მარტვილში. უწმინდესმა სინოდმა ეს თხოვნა კანონიერად იცნო და მისი შესრულება „სასურველადაც“. შეიტყვეს თუ არა ეს მარტვილის მომხრეებმა—მღვდლებმა და ერმა, ყველამ დიდი მადლობა განუცხადეს მარტვილელებს და ამასთან აღუთქვეს დიდი შემწეობაც. რაც შეეხება სამღვდელოებათა კრებას, ესეთი კრება, მართალია, იყო, მაგრამ ჩვეულებრივი, სადაც მხოლოდ სხვათა შორის იყო ლაპარაკი სასწავლებელზედ. ეს კრება, რომელიც ეხებოდა არა მარტო სასწავლებლის საქმეს, შესდგა ბლაღოჩინების განკარგულებით და არა ყოვლად სამღვდელოსი, რომელიც მაშინ სვანეთში ბძანდებოდა და რომელმაც არც-კი იცოდა ამბები შესახებ სასწავლებლებისა. რასაკვირველია, თუ კრებაზედ არა ბრძანდებოდა ყოვლად სამღვდელო, ვერც ორ ათას მანეთის შემწეობას აღუთქვამდა სამღვდელოებას ამ კრებაზედ და ვერც წარმოსთქვამდა კრებაზედ იმ სიტყვას, რომელიც ასე წინაამდეგ გრამმატიკის კანონებისა ჯიუტად ფრჩხილებში მოჰყავს ბ-ნს „ერთს დამსწრეთაგანს“. რას ჰფიქრობს ყოვლად სამღვდელო ამ სასწავლებელზედ, ჩვენ ჯერ არ ვიცით და გვიკვირს, ასე რად გულთ-მისნობს ეს ჩვენი „ერთი დამსწრეთაგანი“?! სასურველია-კი, რომ მისი ყოვლად უსამღვდელოესობა დაეთანხმებოდეს უმაღლესს მთავრობას სასწავლებლის სამუდამოდ მარტვილში დამკვიდრებაზე, ვინაიდგან ეს ადგილი, მიუხედველად მისის დიდ-ძალის შეწირულობისა, დიდის ხნიდგან ცნობილია, როგორც ყოვლის მხრივ დამაკმაყოფილებელი სასულიერო სასწავლებელი მოსწავლე ბავშვებისა და იმათ ღარიბ მშობლებისა. საკვირველია, რომ ჩვენ ფოთშა შევიტყეთ და ჩვენს „ერთს დამსწრეთაგანს“-კი მარტვილში ჯერ კიდევ ვერ შეუტყვია, რომ მარტვილელებმა ფული კარგა ხანია კიდეც მოაგროვეს და რომ უწმინდესის სინოდისაგან მოთხოვნილ პირობაც შეადგინეს. მარტვილელების სურვილი ეხლა მხოლოდ ის არის, რომ მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზმა, მიიღოს ეს ფული პირობითურთ წარსადგენად, სადაც ჯერ არს, და ამასთან მისი ყველასთან ჩვეულებრივი მართლ-მსაჯულებაც არ მოაკლოს მარტვილელებს,—ეს სრულიად საკმაო იქმნება მისის ყოვლად-უსამღვდელოესობისაგან როგორც მარტვილელებისათვის, აგრეთვე ამ სასწავლებლის ყველა თანამგრძნობელებისათვისაც.

საქმის უცოდინარობას მარტო ამითი არ იჩენს ჩვენი მჭევრმეტყველი „ერთი დამსწრეთაგანი“. ამ საქმის თავ-კაცებად იგი ასახელებს ერთს იმისთანა კაცს, რომელმაც, როგორც სხვა ეპარქიაში მცხოვრებმა, მგონია, სრულიად არც-კი იცის ეს ამბავი, თუ არა გაზეთიდგან და მეორეს—იმისთანას, რომელიც იმდენად ღირსია მადლობისა, რამდენადაც მარტვილის და ზემოხსენებულის სასწავლებლის სხვა თანამგრძნობნი. როგორც სჩანს, ჩვენი მოამბე თუ „დამსწრეთაგანი“ არა, „მზრუნველთაგანი“ მაინც უნდა იყოს და საჭიროა მომავალ დროისათვის იცოდეს, როგორც მზრუნველმა, რომ იმ გვარს სამსახურს, როგორიც იმან გაუწია სამეგრელოს სასულიერო სასწავლებელს, ერთს იგავ-არაკში სრულიად სხვა სახელი ჰქვიან.

ფოთელი მარტვილელი

წვრილი ამბები

— გერმანიის მემკვიდრე პრინცს იმდენი სხვა-და-სხვა გვარი წამალი მიუღია, რომ ეს წამლები ყოველსავე ავადმყოფობას ეყოფაო, ამბობს თურმე.

— ბერლინის მუშათა უბნებში დიდძალი ხალხი დაუპატიმრებიათ. ერთს ამისთანა უბანში სოციალისტთა გაზეთების საწყობი უპოვნიათ. ჰამბურგშიაც დაუპატიმრებიათ რამდენიმე სოციალისტი და რევოლიუციონერი.

— კორტესების დაწყებას მადრიდში დასწრებია მეფე ალფონს მე-XIII, რომელიც ეხლა სულ წლისა და ნახევრისაა. ყმაწვილი-მეფე დედამ ხელით მიიყვანა და არხეინად იჯდა თურმე სამეფო ტახტზედ, როცა სეფე სიტყვასა კითხულობდნენ. ბევრთა სენატორთა და და დეპუტატთა ცოლები ძალიან შევარდნილან კრების დარბაზში და წევრთა ადგილები დაუჭერიათ.

— საშინელი ბრძოლა ჰქონიათ ამას წინად ხმლით პალერმოში ორს იტალიელს დეპუტატს, გრაფს მონრუა-რანჩიბილეს და პოლიკასტრელლოს. ბრძოლის დამსწრენი 30 ნაბიჯზედ იდგნენ თურმე მებრძოლთაგან და ნება არა ჰქონდათ, რომ ბრძოლა შეეყენებინათ. თხუთმეტის წუთის შემდეგ ბრძოლა იმითი გათავებულა, რომ გრაფი მკვდარი დაცემულა და პოლიკასტრელლოს-კი აღარც ყურები და აღარც ცხვირი არ შერჩენია —სულ ჩამოთლილი ჰქონია.

— 15-ს (27-ს) ნოემბერს სწორედ ასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც განთქმულმა ტრაგიკოსმა ტალმამ პარიჟის სცენაზედ ითამაშა პირველად ვოლტერის პიესა „მაჰმადში“. რევოლიუციის დროს ტალმას უკვე დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. თავის ამხანაგთას არ აჰყვა ტალმა, საპოლიტიკო საქმეებში ვერ მოერიგდა, თავი დაანება „Théâtre Français“ და „Palais Royal“-ში გადავიდა. რამდენისამე წლის შემდეგ ეს ორი დასი შეერთდა. ტალმა სახელს უფრო და უფრო იხვეჭდა ყოველს ახალს პიესაზედ, ახალს როლზედ. იგივე იყო ახალის ტანისამოსის და დეკორაციის შემწყობი და მომგონი. ერთხელ ტალმამ ვოლტერის პიესა „ბრუტში“ თამაშობდა და ამ როლისათვის ისე მოიკრიჭა და დაიხუჭუჭა თმა, როგორც ტიტის ქანდაკებასა აქვს ლუვრში. ეს ამბავი ისე მოეწონა თურმე საზოგადოებასა, რომ ერთის კვირის შემდეგ პარიჟის ყველა ყმაწვილ-კაცობამ ისევე— à la Titus დაიყენა თმა. უკანასკნელად ტალმამ „კარლ მე-VI“-ის როლი ითამაშა. ამ დროს საყვარელი შვილი მოუკვდა, ამ უბედურებამ სულ ერთიანად დაჰშალა და თითონაც გარდაიცვალა 1827 წ. 19 ოქტომბერს 64 წლისა.

— 1888 წლის მაისს ბრიუსელში გამართება მსოფლიო ერთა-შორისი გამოფენა. გამოფენის კომიტეტს უკვე დაურიგებია საზღვარ-გარედის ყველა დიდ მეფაბრიკეთათვის გამოფენის წესდება, ადგილის ფასი და პროგრამა. პირველ განყოფილებაში იქმნება მოქცეული საპროფესიონალო და სამრეწველო სწავლის ნიმუშები; ამას მოსდევს წიგნთა ბეჭდვის საქმის ნიმუშები: სტამბა, ლიტოგრაფია, ასოების ჩამოსხმა, ჟურნალები, გაზეთები, წიგნები, წიგნით ვაჭრობა და ქაღალდის გაკეთება. ამას მერე ხატვა, სადეკორაციო ქანდაკება, ტოპოგრაფია, გეოგრაფია, კოსმოგრაფია. შემდეგ იარაღები: ფოტოგრაფიისა, სამუსიკო, ასტრონომიული და სმენის იარაღები. მკურნალობა, ჯარა-ექიმობა, ჰიგიენა და სხვ. თუჯისა და რკინის ჩამოსხმა, ოქრო-მჭედლობა. სულ გამოფენაზე ორმოც-და-ათი განყოფილება იქმნება. საჩუქრებად 200,000 მანათამდეა დანიშნული. ამ გამოფენაზე გამართული იქმნება აგრეთვე დიდი ლატარია რამდენისამე მილლიონის ბილეთით; ამ ლატარიაში მომგებთ სხვა-და-სხვა გამოფენის ნიმუშები მიეცემათ.

— სპილოთა დამამშვიდებლის რომანი. სპილოთა დამამშვიდებელი, ეფრემ

ტომსონი, რომელსაც დიდს პატივსა სცემდნენ თურმე რენცისა და გაგენბეკის ცირკებში, გამოქცეულა ამ უკანასკნელის ცირკიდგან და თან მოუტაცნია ცხენზე მოთამაშე ქალი, დოლინდა დე-ლა-პლატა, რომელიც საზოგადოებას ძალიან უყვარდა თურმე კარგის თამაშობისა და მშვენიერის შეხედულობის გამო. ამ ჟამად გამოპარულთ უკვე ჯვარი დაუწერიათ. დოლინდა დე-ლა-პლატა ქალია ერთის ცირკში მოთამაშის ფრანგისა, რომელიც როზარიოში გარდაცვლილა. ამ კაცის ქვრივს თავის ხუთის წლის ქალი ცირკის ერთის არტისტისათვის მიუცია გასაწრთვნელად და აღსაზრდელად ათის წლის ვადით. ამ კაცს ყმაწვილი შვილივით შეუთვისებია და კარგი თამაშობაც უსწავლებია. ბოლოს ორივენი რენცის ცირკში მიუპატიჟნიათ და აქ მოსწონებია ახალგაზდა დოლინდას ზანგი ტომსონი. პირველში აღმზრდელი ქალს უშლიდა თურმე ზანგთან ლაპარაკსა და ნახვასა, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო, რადგან შეყვარებულნი ერთმანერთს წერილებს სწერდნენ. ამ შეყვარებულთ პეტერბურგში დაუწერიათ ჯვარი, სადაც ზანგი ტომსონი ამ ჟამად ჩინიზელლის ცირკშია თურმე მიწვეული.

დეპეშა

1 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ბრძანება 18 რიგის სერიების გამოცემისა სულ 54 მილიონის მანათისა.

სენატმა დაიწყო განხილვა სარატოვ-სიმბირსკის ბანკის საქმისა. ობერ-პროკურორმა გამოაცხადა, რომ საჭიროა უარ-ყოფილ იქმნას ტამბოვის სასამართლოს განაჩენი, იმიტომ-რომ სასამართლოს თავმჯდომარემ შესცვალა საგანი დანაშაულობისა და გამოძიება და გამათობაც უკანონოდ იყო წარმოებულიო.

ვენა. დღეს მეორედ იყო სამხედრო თათბირი იმპერატორის თავ-მჯდომარეობით.

ის ხმა, რომ ვითომ კალნოკი სამსახურიდამ გადადგომას აპირობსო, ხელ-მეორედ და გადაწყვეტით იქმნა უარ-ყოფილი. ამ ხმის გავრცელება საბირჟო ხრიკიაო.

პარიჟი. კარნო თავის ეპისტოლეში პალატის მიმართ ამბობს, რომ ყოვლად საჭიროა თანხმობა და დამშვიდებაო. თუ პალატნი ხელს შეუწყობენ ამ პროგრამის შესრულებასა—ეს უკეთესი დამტკიცება იქნება ევროპისათვის იმისი, რომ საფრანგეთს მხურვალედა სურს მშვიდობიანობაო.

2 დეკემბერი

პეტერბურგი. სენატმა სარატოვ-სიმბირსკის საქმის გამო დაადგინა: მოსკოვის სასამართლო პალატის პროკურორის პროტესტისა და სამოქალაქო მეძიებელთა საჩივრების გამო, ის განაჩენი, რომლის ძალითაც გამართლებულნი არიან ყველა დამნაშავენი, უარყოფილ იქმნას კანონთა მე-801—804 და 808—816 მუხლების დარღვევის მიზეზით. აგრეთვე დადგენილი იქმნა საქმე გადაეცეს მოსკოვის ოლქის სასამართლოს ხელ-ახლად განსახილველად.

გაზეთი „С.-Петербургскія Вѣдомости“ იუწყება: ხმა დადის, ვითომ იმ გუბერნიების მაზრებისათვის, რომლებშიაც შემოღებულია ერობა, განზრახვა აქვთ მოსპონ მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშვნა არჩევანის წესითა; სამაგიეროდ იუსტიციის მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრთან მორიგებით, უნდა დანიშნოს მომრიგებელ მოსამართლეებად უმაღლესის განათლებით აღჭურვილნი პირნი; უპირატესობა უნდა მიეცეს ადგილობრივ მემამულეთ.

იგივე გაზეთი იუწყება, რომ პროექტი რეფორმებისა შორეულ გუბერნიებისათვის სრულიად დასრულებულია: მთავარ-მართებლებს თურქესტანისას, ამურისას და კასპიის იქითა მხარისას მიეცემათ მეტი უფლება ადმინისტრატიულ საქმეებში; საფინანსო ვალდებულებანი-კი გარდაეცემა ფინანსთა სამინისტროის დაწესებულებათა.

პარიჟი. პრეზიდენტის ეპისტოლეს დასასრულში ბეჯითად მოხსენებულია, რომ საფრანგეთი უეჭველად უნდა დაადგეს მშვიდობიანის შრომისა და წარმატების გზას და ამ ნაირად უნდა მოემზადოს 1789-ს წლის დღესასწაულის დასახვედრად.

ბერლინი. გუშინ მართებლობის წინადადება იმის თაობაზე, რომ შემოტანილს ჭვავსა და პურზე ბაჟი უნდა აეწიათ 6-ს მარკამდე, რეიხსტაგს უარ-უყვია ხმის უმეტესობით. სამაგიეროდ განზრახვა აქვთ ჭვავსა და პურზე გააწერონ ბაჟად 5 მარკა.

სტოკჰოლმი. სამინისტრომ თხოვნა შეიტანა სამსახურიდგან გადადგომის თაობაზე, მაგრამ ჯერჯერობით-კი ასრულებს თავის მოვალეობას.

პეტერბურგის ბირჟა, 1-ს დეკემბერს.

ფასები:

	მყიდველისა	გამყიდველისა	გაყიდულისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	— ›	— ›	9 3
ტამოჟნის კუპონები	— ›	— ›	180½
მანათიანი ვერცხლის ფული	— ›	— ›	1 33
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ›	— ›	277
— მეორისა	— ›	— ›	248
გირავნობ. ფურცელნი:			
ტფილისის ბანკისა	— ›	— ›	— ›
ქუთაისის ბანკისა	— ›	— ›	— ›
ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ›	— ›	— ›

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადი.
ქვეყნის შექმნიდამ **7395**.
ძველი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1887 წლის ზედ-ნადები—14.

დეკემბერი 31 დღით არის

3 დღე ხუთშაბათი. წინ.-მეტყ. სოფონისა. კათოლ. წმ. ალმსაარ. ფრანცისკა ქსავერიისა. სომეხ. წმ. მამათა ეგვიპტელთა: პავლე, მაკარ და სხვათა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 7—20, ჩადის 4—31. მთვარე 2 დღისაა.

4 დღე პარასკევი. წმ. დიდ.-ქალწ.-მოწ. ბარბარესი და ღირს. იოანე დამასკელისა. კათოლ. ქალწ.-მოწ. ბარბარესი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-2 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—55. ტფილისში მზე ამოდის 7—21, ჩადის 4—32. მთვარე 3 დღისაა.

5 დღე შაბათი. წმ. საბა განწმენდილისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ალმსაარ. პეტრე ხრიზოლოგისა. სომეხ. წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედ., წმ. გრიგოლ საკვირ.-მოქმედ., ნიკოლოზ მამათ-მთავრისა. მუსულ. მე-3 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 7—22, ჩადის 4—32. მთვარე 4 დღისაა.

6 დღე კვირა. წმ. ნიკოლოზ საკვირველ-მოქმედისა. კათოლ. წმ. ეპისკ. ნიკოლოზისა. სომეხ. ალების ლამე სურბ იაკობის მარხვისა. მუსულ. მე-4 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32. მთვარე 5 დღისაა.

7 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. ამბროსისა. კათოლ. წმ. ამბროსისა. სომეხ. მინასი, ერმოგენისა და ევგრაბისა. მუსულ. მე 5 რიცხვი თვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57, ტფილისში მზე ამოდის 7—23, ჩადის 4—32. მთვარე 6 დღისაა.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა	3 ›
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა	5 ›
მე-2 ხარისხისა	4 ›
მე-3 —	› ›
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›
სუკი	13 ›
ძროხის ხორცი	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	7 ›
› 2 ›	6 ›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით საშუადღევოს 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

კერძო განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

КАКАО БЕЗЪ МАСЛА
С. СIУ и Ко
(50—2)

САУНДЖЕ
საუნჯე ქართულის ენისა.
ახალი ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა იყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოებ-ს“ კანცელარიაში, I ნაწილის ფასი 3 მან.
(წიგნი განიყოფება სამ ნაწილად. ჯერ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი ნაწილი, რომელიც ასო „ლ“-ზეა შეწყვეტილი. დანარჩენიც იბეჭდება. ახალი ლექსიკონი ბ-ნ ჩუბინაშვილისა ბევრით განირჩევა იმისავე „ქართულ-რუსულის ლექსიკონისაგან“. ახალ ლექსიკონში უფრო მეტი სიტყვებია მოქცეული, სიტყვები ქართულადვე არის ახსნილი, ნაჩვენებია აგრეთვე, რომელს მწერალს, ძველს თუ ახალს, აქვს ნახმარი ეს სიტყვა, რომელს თხზულებაში, რომელ გვერდზე და ზოგან მთელი ფრაზაც არის მოყვანილი, სადაც სიტყვა ხმარებულია. შემდეგ სიტყვა რუსულად არის ნათარგმნი.)

დაიბეჭდა ისტორიული პოემა
თამარიანი
გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ
იყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში
ფასი 60 კაპ. (10—4)

1888 წლის 1 იანვრიდგან გამოიცემა სამეურნეო გაზეთი
„მეურნე“
გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით. გაზეთის პროგრამა: 1) მთავრობის განკარგულებანი მეურნეობისა და სოფლის საქმეების შესახებ; 2) სამეურნეო ეკონომია; 3) ცალკე წერილების საგანი იქნება: ხვნა-თესვა, ბაღოსნობა, ბოსტნის მოყვანა, ვენახის გაშენება, საქონლის მოვლა-მოშენება, აბრეშუმის მოყვანა, ფუტკრის მოშენება და საზოგადოდ ყოველ გვარი სამეურნეო საგანი; 4) სამეურნეო ტეხნოლოგია, ხუროთმოძღვრება (არხიტექტურა) და მეხანიკა; 5) ბეითალობა (ვეტერინარია) და სოფლის ჰიგიენა; 6) მეურნეობის ამბები და კორრესპონდენციები; 7) განხილვა ახალთა გამოკვლევათა, გამოცდათა და აღმოჩენათა მეურნეობაში. 8) სამეურნეო ბიბლიოგრაფია; 9) სოფლის ნაწარმოების ბაზრები; 10) ცნობანი, თუ სად როგორი მოსავლის პირია, რა არის მუშის ფასი და სხვა; 11) მრეწველობა, ვაჭრობა და სტატისტიკა; 12) ნარევი; 13) კითხვა-პასუხი; 14) სურათები; 15) გამოსადეგი ადრესები; 16) განცხადებანი, და 17) დამატება, სადაც დაიბეჭდება სამეურნეო თხზულებანი.
მთელის წლის ფასი გაზეთისა 4 მანეთია, ნახევარ წლისა—2 მან. და ათი შაური. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ ამ ფასს უნდა დაუმატონ ფოსტის ფულად წელიწადში 1 მან. და ნახევარ წელიწადში,—ათი შაური.
ვისაც გაზეთის დაბარება ჰსურს, უნდა მიჰმართოს: ტფილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიას; ხოლო ტფილისს გარეშე მცხოვრებთა—თვითონ რედაქციას ამ ადრესით: Въ Тифлисъ, редакція газеты „Мэурнэ“, на Реутовской ул., д. Сулханова, № 10.
რედაქტორი-გამომცემელი ვასილ ხულხანიშვილი.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
„ივერია“
1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფასი:

12 თვით	. . .	10 მ. —კ.
11 „	. . .	9 „ 50 ›
10 „	. . .	8 „ 75 ›
9 „	. . .	8 „ — ›
8 „	. . .	7 „ 25 ›
7 „	. . .	6 „ 50 ›
6 თვით	. . .	6 მ. —კ.
5 „	. . .	5 „ 25 ›
4 „	. . .	4 „ 75 ›
3 „	. . .	3 „ 50 ›
2 „	. . .	2 „ 75 ›
1 „	. . .	1 „ 50 ›

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.

Дов. цен. Тиф. 1 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.